

დიალექტიკა და სიმართლე

თბილისი, 8 იანვარს

(დაიბეჭდა ორ ფელეტონად გაზეთ „დროების“ 1884 წლის 8 და 10 იანვრის მე-5-6 ნომრებში)

მთელი ვეებერთელა შინაური მიმოხილვა „ივერიის“ უკანასკნელი ნომრისა მონდომებია გამტყუებას ერთი პატარა წერილისა, რომელიც „დროების“ ორს ნომერში იყო დაბეჭდილი სათაურით: „რა მიზეზია?“.

მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს ჩვენი წერილის შინაარსი და მიზანი. ჩვენ გულწრფელად ვაღიარებდით „წერა-კითხვის საზოგადოების“ მცირე ნაყოფიერებას და უმთავრესს ბრალსა ვსდებდით ბიუროკრატიულს წესსა, რომელიც თავდაპირველად დამკვიდრდა ამ საზოგადოების საქმეთა წარმოებაში, რომლის წყალობით ბევრი თაბახი ქალაქი დაიწერა, კალამი გაცვდა, ბევრი მეღანი დაიღვარა და საქმე კი ძალიან ნაკლებად გაკეთდა და კეთდება-თქო. ჩვენ ვამბობდით, რომ საქმის ცოცხლად წაყვანა არ შეუძლიან გამგეობას, რომელიც თბილისში იმყოფება და მარტო მკვდარი კანცელარიული სიტყვით მოქმედებს პროვინციებზედ, და ვურჩევდით, რომ ცოცხალი სიტყვით ემოქმედა. ადგილობრივი თაოსნობა, ადგილობრივი სარისტა გამოეწვია, დაეარსებინა საქართველოს ყველა კუთხეში თავისი განყოფილება, ანუ აგენტურა, რომელიც პირ-და-პირი სიტყვით, უშუამავლოდ იმოქმედებდა ადგილობრივ საზოგადოებაზედ, განაძლიერებდა თანაგრძნობას მის დედა აზრისადმი და განათლების საქმეს ნამდვილს სამსახურს გაუწევდა... ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო გათავებული ერთს წერილში. ჩვენ შემდეგში ვაპირებდით ცალკე წერილში მოგველაპარაკანა განყოფილებათა აგენტურათა ორგანიზაციაზედ, მოწყობაზედ, მათს უფლებაზედ და ვალდებულებაზედ და სხვათა შორის უნდა გამოგვეთქვა ის აზრი, რომ განყოფილებათა წევრნი პირველში თბილელ ცენტრალურ გამგეობისგან იქმნებიან აღმორჩეულნი და შემდეგში კი, როდესაც ეს ადგილობრივი განყოფილებანი თავის მაზრაში „საზოგადოების“ წევრთა რიცხვს აიყვანენ ორმოცდა-ათამდის (ეს რიცხვი წესდებულების ძალით საჭიროა, რომ შესდგეს საზოგადო ყრილობა), მაშინ თვითონ ადგილობრივი წევრნი ამოირჩევენ განყოფილების წევრებსა.

ვინც კი წერილი წაიკითხა, ყველა თანახმა იყო მისი დედა-აზრისა და სასარგებლოდ სთვლიდა მის სისრულეში მოყვანასა. რასაკვირველია ადვილად შესაძლებელი იყო ჩვენი წერილის აზრის უფრო მომეტებული განვითარება და შევსება, მაგრამ მის წინააღმდეგ მკაცრ გამოლაშქრებას კი არ მოველოდით.

არ მოველოდით; მაგრამ მოულოდნელად კი მოხდა. შინაური მიმოხილვის ავტორმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ დედა-აზრი ჩვენი წერილისა გაექარწყლებინა და წინ გადაღობებოდა მის სისრულეში მოყვანასა. ჩვენ ვერ გამოვუდგებით ყველა გასამტყუნებელი აზრების გამტყუნებასა, რადგანაც ამისათვის დაგვჭირდებოდა ერთი ორად და სამად უფრო დიდი წერილი, ვიდრე არის თვით შინაური მიმოხილვა. ჩვენ მხოლოდ დავანახებთ მკითხველს

საზოგადოებას, თუ რამდენად უსაფუძვლონი არიან დედა-აზრები, უმთავრესნი მსჯელობანი შინაური მიმომხილველისა.

რათა მკითხველის თვალში გააქარწყლოს ჩვენი აზრი აგენტურების დაარსებაზედ, მიმომხილველი მოიხსენიებს სპარსეთს და ნაპოლეონ მესამეს და ამბობს, რომ იგინიც თავისი აგენტების შუამავლობით მოქმედებდნენო. ეს მაგალითი ერთი ბერის საბუთს მოგვაგონებს, რომელიც სწავლის და მეცნიერების მავნებლობას ამტკიცებდა იმით, რომ ბეკონი დიდი სწავლული იყო, მაგრამ ამასთან დიდი არამზადაცაო. და იმას კი ივიწყებდა, რომ დიდმა სწავლამ მრავალი ადამიანი დიდ მოქალაქედ და მაღალი ზნის კაცად გარდააქცია. მიმომხილველმა კარგად იცის, რომ აგენტებისავე საშუალებით მოქმედობდნენ ის გმირნი, რომელთაც წარსული საუკუნის დამლევს საფრანგეთი აიყვანეს საკვირველის სიმალემდის და მისცეს ისეთი სიმძლავრე, რომ მთელი შეკრებული ევროპა ვერაფერს გახდა ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ისიც კარგად იცის, რომ თვით მაცხოვარმა თავისი სახარება მოჰვინა დედამიწის ზურგზედ აგენტების ქადაგებით, რომელთაც ჩვენ მოციქულებს ვეძახით. იცის აგრეთვე, რომ „დაბადების” საზოგადოება, დაარსებული ინგლისში, ლონდონიდგან ჰვენს მთელი დედა-მიწის ზურგზედ თავის აგენტებსა და აუარებელს რიცხვს საღვთო წიგნებისას ავრცელებს ყველა ქვეყნებში და თვითონ ჩვენს საქართველოშიაც: მაგრამ მაგალითებს რად მოიხსენიებს, როდესაც იგი მიისწრაფის პოლემიკური გამარჯვებისაკენ.

ამ პოლემიკურს მიზანს ისე გაუტაცნია ავტორი, რომ მას ავიწყდება, ვისი გამოსარჩლებისათვის აუღია კალამი და ძლიერ ამდაბლებს გამგეობას, რომელიც მას უნდა დაეფარა საფუძვლიანი საყვედურისაგან. იგი ერთს ფიცარზედ აყენებს ამ გამგეობას ნაპოლეონ მესამესთან, განსხვავებას არა ხედავს მათ აგენტების მოქმედებას შუა და ამბობს, რომ გინდა ნაპოლეონის აგენტს უწყეველია საზოგადოება, გინდა „წერა-კითხვის საზოგადოებისას”, ორივე ერთიაო. მაგრამ რა მსგავსებაა ნაპოლეონის მესამეს შუა, და „წერა-კითხვის მართველობის” შორის, რომელსაც საზოგადოება ცოტას ხნობით ირჩევს, რომელიც უანგაროთ ემსახურება იმისთანა წმინდა საქმეს, როგორიც არის ხალხის განათლება და რომელსაც არავითარი პიროვანი ინტერესი არ შეიძლება ჰქონდეს საქმის მართვაში? ავტორს დავიწყებია ერთი ელემენტარული აზრი, სახელდობრ ისა, რომ აგენტობა, როგორც ნიჭი, ნეიტრალური ძალაა, რომელიც ძვირფასია, თუ ქვეყნის სიკეთეს ემსახურება, და მავნებელია, თუ ბოროტს მიზანს მისდევს. კატკოვი მეტად ნიჭიერი კაცია; მაგრამ ამის გამო ვის შეუძლიან დაიწყოს ქადაგება ნიჭის უსარგებლობაზედ? აგენტობაზედაც ესევე უნდა ითქვას. პავლე მოციქული უბრალო აგენტი იყო მაცხოვარისა; მაგრამ დიდი, აუარებელი სიკეთე კი დათესა...

„წერა-კითხვის საზოგადოების” საქმე მიდის ზანტად, ცუდად იმიტომ კი არაო, რომ გამგეობა ვერ იჩენს ჯეროვანს სიმარჯვეს და მოხერხებასაო, არამედ იმიტომაო, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის მომზადებული საზოგადო საქმეების წარმოებისათვისაო, რის გამოისად სხვა საზოგადო დაწესებულებანიც ძლიერ სუსტობენ და ლამის სული ამოუვიდეთო.

მიზეზდოთ ფაქტებს და ვნახოთ, რავდენად არის ეს აზრი მართალი. ავიღოთ თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ რ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა და წერა-კითხვისა და შევადაროთ. პირველი არის წოდებრივი დაწესებულება, განისაზღვრება მხოლოდ თბილისის გუბერნიით და წევრები ჰყავს მხოლოდ ორმოციოდე კაცი. მეორე საზოგადოება საყოველთაო დაწესებულებაა, შეეხება მთელს ჩვენს ქვეყანასა და წევრები ჰყავს სამასამდის. განა მეორეს ბევრად უფრო მეტი შემოსავალი არ უნდა ჰქონდეს, ვიდრე პირველსა? ნამდვილად კი სრულიად სხვასა ვხედავთ. პირველ საზოგადოების წელიწადში შემოსდის ორას თუმნადის, მეორეს კი ამის ნახევარიც არ შემოსვლია შარშან; პირველის ბალი იძლევა ყოველთვის ასი თუმნიდგან ას სამოც თუმნამდის, მეორესი ოცი თუმნიდგან-ორმოცამდის. ამასთან პირველი საზოგადოება წელიწადში კანცელარიაზედ ხარჯავს ოთხიოდ-ხუთ თუმნასა, მეორეს კი ას თუმნამდე უზის კანცელარია (600 მანეთი საქმის მწარმოებელსა, 300 მანეთი სახლის ქირა და მოსამსახურე და 100 მანეთი საკანცელარიო ხარჯი). რადა ხდება ესა, თუ საზოგადო მიზეზის გარდა, აქ სხვა არაფერი მოქმედებს?

ჩვენ ვამბობდით ჩვენს წერილში: „სკოლების დაფუძნების საქმესაც დაბრკოლება თავიდგან ასცილებოდა, თუ რომ გამგეობას გამოეჩინა მომეტებული გულის-ყურის დამყარება საქმეზე, მომეტებული გამჭრიახობა და მომეტებული სიმარჯვე“. ჩვენ ამ სიტყვების განმარტება მჭევრ-მეტყველური ფაქტებით შეგვეძლო, მაგრამ უნდა გავტყდეთ, რომ ქართველურმა თავაზიანობამ და ხათრიჯამობამ ხელი აგვალბინა ამ განმარტებაზედ. მიმომხილველს, რასაკვირველია, კარგად უნდა სცოდნოდა მიზეზი ჩვენის თავდაკავებისა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ცელქური ოხუნჯობის საგნად გახადა ეს ადგილი ჩვენის წერილისა და ვინ არ წამოაყენა სცენაზედ: პარიკმახერი სულხანიც, დუნლიეც, გოგია დალაქი, პრუსია, საფრანგეთი და სხვა ბევრი რამ. ჩვენც არც ერთი ფაქტის დასახელებით შეგვიძლიან სულ მთლად გავაქარწყლოდ ეს დიალექტური ოხუნჯობა. ბ. წინამძღვრიშვილს არა ჰქონდა ხელში არც დამტკიცებული მთავრობის მხრივ წესდებულება, რომელშიაც დედა-ენაზედ სწავლება მოხსენებული ყოფილიყო, და არც რამე გამგეობა ჰყავდა, მაგრამ თავის სამეურნეო სკოლისთვის გამოიტანა უფლება ყოველი საგნის დედაენაზედ სწავლებისა მთელი ექვსი წლის განმავლობაში. „წერა-კითხვის მმართველობამ კი, თუმცა მას წესდებულებაში პირ-და-პირ უწერია სწავლა დედაენაზედ, მთავრობისაგან აღიარებული, დირექტორს და მზრუნველს ვერ დაამტკიცებინა პროგრამა, რომლის ძალითაც სწავლება უნდა ყოფილიყო ქართულს ენაზედ ოთხი წლის განმავლობაში. რად მოხდა ეს, თუ არა იმის გამო, რომ წინამძღვრიშვილმა მომეტებული გულს-ყურის დამყარება იხმარა საქმეზედ, ვიდრე „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ.

ჩვენ მეტს არაფერს ვიტყვით ამ საგანზედ, რადგანაც ეს ფაქტიც ძირიან-ფესვიანად ანგრევს იმ ოხუნჯობის კომქსა, რომელიც მიმომხილველს ჰაერში აუშენებია

მიმომხილველი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ წინააღმდეგობა აღმოაჩინოს ჩვენს აზრებს შუა და ამ მიზნით იგი უპირდაპირებს ჩვენგან წარმოთქმულა ორს აზრსა, სახელდობრს პირველად იმასა, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის ბლომი ნაწილი ახლა ინტელიგენციას

ეკუთვნის-თქო და მეორედ იმასა, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა გულგრილად უყურებს, მეტადრე პროვინციებში, განათლების საქმესაო. ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, რომ მიმომხილველი წინააღმდეგობას ხედავს ამ ორს აზრს შუა. განა მან არ იცის, რომ არა ყოველი ნასწავლი პირი თანაუგრძნობს განათლებასა? განა ყოველს ნაბიჯზედ არა ვხედავთ, რომ მაღალთა წოდებათა პირნი მხოლოდ მაშინ არიან გულმხურვალენი და გულწრფელნი მსურველნი ხალხის განათლებისა, როდესაც ფართო და ღრმა სწავლას მათში ძირიან-ფესვიანად ამოუფხვრია წოდებრივი ინსტიტუტები და აღუვსია ისინი დემოკრატიული კაცთ-მოყვარეობითა? განა რუსის მწერალი დალი განათლებული კაცი არ იყო, ხოლო რას ამბობდა? უმჯობესია გლეხობა უმეცრებაში დავტოვოთ და წიგნის ცოდნა თავიდაც ავაშოროთ. განა კატკოვი ნასწავლი და ნიჭიერი კაცი არ არის; მაგრამ, თუ იმას ნებაზედ მიაგდეთ საქმე, არამც თუ ერთს დღეს დაჰკეტავს ყოველს სკოლას, რუსეთის ნასწავლს დასსაც სულ ერთიანად კამჩატკაში ამოუყოფს თავსა? ჩვენშიაც მოიპვებიან იმისთანა ნასწავლნი პირნი, რომელნიც ან დალის და კატკოვის თვალთ უყურებენ ხალხის განათლებასა და ან გულ-ცივად ეპყრობიან მას. მაგრამ ამასთანა ჩვენდა სანუგეშოდ, ეს პირები გავლენას და ძალას მოკლებულნი არიან და მათი მისწრაფებანი ანდერძ-აგებულები არის დროთა მიმდინარეობის გამო და ამიტომ მხნე და განათლებულს აგენტებს ადვილად შეუძლიათ არამც თუ მათი წინააღმდეგობა გააუქმონ, არამედ ხალხის განათლებაშიც მეტ-ნაკლებობით დაიხმარონ... ნასწავლს თავად-აზნაურობას ის გარემოებაც უშლის ხალხის განათლებას სამსახური გაუწიოს პროვინციებში, რომ მას თავი დანებებული აქვს სოფლებისათვის და მოგროვილია ქალაქებში, რის გამოისათაც ყოველი წერილობითი განკარგულების წაკითხვაც კი ხშირად ძნელია სოფლებში.

როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენი საზოგადოება მომზადებული არის „წერა-კითხვის საზოგადოების“ ნაყოფიერად წარმოობისათვის, ჩვენ ამითი სრულიად ის არ უნდა გვეთქვა, რომ ყველა ქართველი გულით და სულით ნატრობს განათლების მოფენასა და მზად არის ყოველივე შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არამც თუ აგენტები იქნებოდნენ მომეტებულნი, თვით „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“ მესამე ურმის თვალი იქნებოდა.

ჩვენ ის უნდა გვეთქვა და კიდევ ვთქვით, რომ უკეთესი ნაწილი ქართველი საზოგადოებისა იმდენად გრძნობს ხალხის განათლების საჭიროებასა, რომ თუ ენერგიულის და განათლებულის აგენტის სიტყვის და მოქმედების გავლენის ქვეშ იქნება, უქმი თანაგრძნობა მისი აქტიურს თანაგრძნობად გადაიქცევა და პლატონიური სურვილი ნამდვილ დახმარებათაო. მაცხოვარის მოვლენის დროს კაცობრიობა მომზადებული იყო ქრისტიანობის მიღებისთვისო, ამბობენ. ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი ქრისტიანობის მიღებას ნატრობდა; არამედ იმასა, რომ დაწინაურებული კაცობრიობა იმდენად წინ იყო წასული გონების განვითარებით, რომ შეეძლო მიეღო უფრო მაღალი და რთული სარწმუნოება, თუ მარჯვე და გულმხურვალე მქადაგებელნი გაჩნდებოდნენ ერთა შორის.

მიმომხილველს ჩვენი დაჭერა უნდოდა აზრების წინააღმდეგობაში; ამას კი ვერ ეწია, როგორც მკითხველი ხედავს, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ გაება აზრების წინააღმდეგობაში. იგი

აღიარებს ჩვენი საზოგადოების მტკნარს მოუძაადებლობას, უხეირობას, გულგრილობას ამისთანა „საზოგადოების“ წარმოებისთვის, როგორც არის წერა-კითხვის საზოგადოება; და რას გვიჩვენებს წამლად? არა იმას, რომ განათლებით დაწინაურებულმა ქართველმა დასმა იკისროს პროპაგანდით, ცოცხალი სიტყვის მოქმედებით და ქადაგებით გაღვიძება... საზოგადოებისა, არამედ თავის მიწებებისა. „თვითონ... ცალ-ცალკე კუთხისანი იმოდენად უნდა მოიწიფნენ, იმოდენად მოჯობინდნენ სულითა და ხორცითა, რომ თვითონ თავისი საკუთარის ძალ-ღონითა განაგებდნენ თავიანთ საქმეს განათლებისასა”, - ამბობს მიმომხილველი. კარგი და პატიოსანი! ჩვენც სწორედ ამის მონატრებულნი ვართ; მაგრამ რა გზით უნდა მივახწიოთ ამ ნეტარი მდგომარეობამდის? ჩვენ აგენტურების დაარსება მარჯვე ღონისძიებათ ვსთვლით ამისათვის. მიმომხილველი? იგი ჯერედ უარყოფს აგენტურის სარგებლობას, მერმე თითქო გვეთანხმება; მაგრამ იმ დამატებით, რომ აგენტურა სხვა გვარად უნდა გაიმართოსო. რა გვარად და როგორ? ამაზე პატივცემულს ავტორს კრინტიც არ დაუძრავს. ვებერთელა წერილში რას არ შეეხო, სად არ ატარა მკითხველი და თავ-საგანზედ კი ერთი სიტყვაც არ დასძრა. თქვენ გგონიათ თვით მმართველობის პრინციპი მაინც გადაჭრით აღიარა? სრულიადაც არა! მან ზემო მოყვანილი სტრიქონები აი რა დამატებით გაათავა: „თუ განათლების საქმე საზოგადოდ მართლა და თვითეულ კუთხისათვის ცალკე განსაგებელი საგანია”. გადაჭრით არც აგენტურა და არც თვითმმართველობა! ასე არა სჯობიან: სხვის გადაჭრილი აზრები ჰკილო და შენი კი გადაჭრით არაფერი წამოსთქვა და კრიტიკულს წერილს რავდენიმე მარჯვე გასავალი დაატანო! დიალექტიკისათვის, პოლემიკისათვის ამ გვარი ტაქტიკა იქნება სასარგებლო იყოს; მაგრამ საქმისათვის რომ გამოუსადეგარია, ეს აშკარაა ყველასთვის.

ჩვენ არ მივბაძავთ მიმომხილველის ტაქტიკასა და ჩვენს აზრს გადაჭრით, განვითარებით წარმოვსთქვამთ. ის მოთხოვნილებანი, რომელნიც ვალდებულია დააკმაყოფილოს წერა-კითხვის საზოგადოებამ, ორ გვარნი არიან: საზოგადოებანი, რომელნიც შეეხებიან მთელს ჩვენს ქვეყანას, ყოველს მის კუთხესა, - და კერძობით, ანუ ადგილობრივნი, რომელნიც თვითეულ აზრის საჭიროებას შეადგენენ. ცენტრალური გამგეობა უნდა გადაგებდეს საზოგადო საქმეებსა, აკმაყოფილებდეს საერთო მოთხოვნილებათა. აგენტმა კი უნდა იზრუნონ ადგილობრივ საქმეებზედ, ადგილობრივი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ. აგენტურა უნდა დაარსდეს ყოველს საქართველოს კუთხეში, თვითეულ მაზრაში. იგი უნდა შესდგებოდეს სამი პირისგან. წევრები დანიშნულ იქნებიან თვითმმართველობისაგან იმ მაზრებში, სადაც „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრებად ითვლება ნაკლები ორმოც-და-ათი კაცისა; რომელს მაზრაშიაც რიცხვი წევრთა აღის ამ რაოდენობამდის, იქ ადგილობრივთა წევრთა კრება ირჩევს აგენტურის წევრებსა, რომელნიც ამ თანამდებობაში დამტკიცებული იქმნებიან გამგეობისაგან. აგენტურა აღურჩევა ოთხი წლის ვადით, რადგანაც ესევე ვადა არის დანიშნული გამგეობის განახლებისათვის. აგენტურის უფლებას და ვალდებულებას უნდა შეადგენდნენ: ფულების კრეფა წევრთაგან, ახალი წევრების შოვნა, რომელთაც აგენტურა იღებს კანდიდატებად და საზოგადო კრება თბილისისა აღიარებს თავის წევრებად, თანახმად წესდებულებისა, საკვირაო სკოლების და სახალხო საუბრების გამართვა, წაქეზება სოფლებისა

დასადგენად განჩინებისა სკოლების გახსნის თაობაზე, თვალ-ყურის დევნა და ხელმძღვანელობა სკოლებისა, რომელნიც დაფუძნებულნი იქნებიან „წერა-კითხვის საზოგადოების“ სახელით, სხვა სასოფლო სკოლების საჭიროების შეტყობა, მეტადრე ქართული ენისა: დაკმაყოფილება, სპექტაკლების, კონცერტების, სალიტერატურო საღამოების გამართვა სასარგებლოდ „საზოგადოებისა“, სახალხო ბიბლიოთეკების დაარსება სოფლებში და ქალაქებში, გაყიდვა წიგნებისა, რომელთაც „საზოგადოება“ გამოსცემს, ან საჭიროდ დაინახავს სხვის გამოცემული ხალხში გაავრცელოს და ყოველ-გვარი შემოქმედება, რაც კი შეეწევა და დაეხმარება საზოგადოების აზრის შესრულებასა. წლიურს შემოსავალს ორ ნაწილად ჰყოფს ყოველი აგენტურა: ერთს ნაწილს მოახმარებს თვითონ ადგილობრივთა მოთხოვნილებათა და მეორე ნაწილს უზრუნველყოს ცენტრალურს გამგეობას საერთო საჭიროებათა გაძღოლისათვის და ქართული ელემენტის გაძლიერებისათვის იმისთანა მაზრებში, სადაც იგი, დროთა ვითარების გამო, შესუსტებულია, როგორც მაგალითად, ახალციხის მაზრაში და საინგილოში. ყოველს წელიწადს, საზოგადო კრების წინედ, ყოველი აგენტურა უზრუნველყოს გამგეობას განვითარებულ ანგარიშსა თავის წლიურს მოქმედებაზე და შესავალ-გასავალზე. ერთი სიტყვით აგენტურა უნდა იქმნას ორგანო ერთის მხრივ ადგილობრივი საზოგადოებისა, მეორე მხრით ცენტრალური გამგეობისა. ჩვენი განათლების საქმე პოლიტიკა არ არის, რომ სხვა-და-სხვა მიმართულებამ იჩინოს აქ თავი და უთანხმოება მოახდინოს ხსენებულ ინსტაციებს შორის. სრული თანხმობის დამყარება ამ წმინდა საქმის წარმოებაში ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს.

თუ მიმომხილველი უკეთესს მოსაზრებას წარმოადგენს შესახებ აგენტურების დაფუძნებისა და მომართვისა, ჩვენ დიდის კმაყოფილებით უარს ვყოფთ ჩვენს პლანს, და მოსარჩლედ აღმოუჩნდებით მის მოსაზრებასა. მაგრამ როგორმა პლანმაც უნდა გაიმარჯვოს ამ შემთხვევაში, აგენტურის მოქმედება მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც თვით ცენტრალური გამგეობა გამოიჩინოს „მომეტებულს ყურადღების დამყარებას საქმეზედ, მომატებულს მხნეობას და მომატებულს სიმარჯვეს“.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ააიპ თელავის N5 საჯარო სკოლის მოსწავლემ, ეკატერინე მამნიაშვილმა